პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აპრილი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მაქსიმ გორკის შესახვევისთვის და ვეძათხევის შესახვევის მონაკვეთისთვის მსახიობის დუდუხანა წეროძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, მაქსიმ გორკის შესახვევს და ვეძათხევის შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს მსახიობის დუდუხანა წეროძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:484046 Y:4617072
დუდუხანა ჩეროძის ქ.
X:484064 Y:4617052
X:484108 Y:4617060
X:483976 Y:4617026
N
1:800

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ლია ცოცხალაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032408260**
თარიღი: **22/03/2024**

როგორც მოგეხსენებათ, მ/წლის 6 მარტის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად განხილული იქნა ქ. თბილისში, მაქსიმ გორკის შესახვევისთვის და ვეძათხევის შესახვევის მონაკვეთისთვის საქართველოს სახალხო არტისტის, დუდუხანა წეროძის სახელის მინიჭების შესაძლებლობა.

მოგმართავთ თხოვნით, უზრუნველყოთ საკითხის ინიცირებისთვის მომზადება კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, თქვენი ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032408968**
თარიღი: **29/03/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

როგორც მოგეხსენებათ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს ინიციატივას ჩუღურეთის რაიონში, მაქსიმ გორკის შესახვევისთვის და ვეძათხევის შესახვევის მონაკვეთისთვის მსახიობის დუდუხანა წეროძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ ზემოხსენებული გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი დანართის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01240961418**
თარიღი: **05/04/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 29.03.2024 წლის # 03-032408968 (29.03.2024 წ. #14-01240892436-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დუდუხანა წეროძე

(1918-2000)

კინომსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი

სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. 1938 წელს დაამთავრა „სახკინმრეწვთან“ არსებული კინოსკოლა. 1949 წლიდან მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. 1955 წლიდან ისევ კინოსტუდია „ქართულ ფილმშია“ და ქმნის მნიშვნელოვან კინემატოგრაფიულ სახეებს. 1934 წლიდან იღებენ კინოში. შესრულებული აქვს როლები: მარო („უკანასკნელი მასკარადი“, 1934), პეპელა („დაკარგული სამოთხე“, 1937), ნანი („კოლხეთის ჩირაღდნები“, 1941), მაგდანა („მაგდანას ლურჯა“, 1955), თამარი („ჩვენი ეზო“, 1956), თამარი („განაჩენი“, 1959), კესარია („უდიპლომო სასიძო“, 1961), ეკა („პალიასტომი“, 1963), კაკანო („მე ვხედავ მზეს“, 1965), ბარბალე („ტარიელ გოლუა“, 1968), ივლიტა („სემირამიდას ბაღები“, 1970), დომნა („ჩარი რამა“, 1972), ასპიროზი („ყვარყვარე“, 1978), ეფროსინე („გამოაღეთ ფანჯრები“, 1981), მართა („კუკარაჩა“, 1982). განსაკუთრებით აღსანიშნავია მაგდანას როლი ფილმში „მაგდანას ლურჯა“; ახალგაზრდა ქართველი რეჟისორების, რევაზ ჩხეიძის და თენგიზ აბულაძის ნამუშევარმა კანის კინოფესტივალზე საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პრიზი აიღო (1956).

1958 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება

1997 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.